განკარგულება - N 19.609.792
30 / მაისი / 2019 წ.

„ქალაქ თბილისში, მამია გურიელის ქ. №5ა-ში მდებარე უძრავი ქონების (ს/კ: №01.14.15.001.300.03.03.007, №01.14.15.001.300.03.03.520) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2019 წლის 2 აპრილის N 19.364.505 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის საფუძველზე,

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ გადაწყვიტა:

1. შეტანილ იქნეს ცვლილება „ქალაქ თბილისში, მამია გურიელის ქ. №5ა-ში მდებარე უძრავი ქონების (ს/კ: №01.14.15.001.300.03.03.007, №01.14.15.001.300.03.03.520) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2019 წლის 2 აპრილის N 19.364.505 განკარგულებაში და განკარგულების დანართის მე-5 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 5.8^1 და 5.9^1 პუნქტები:

ა) „5.8^1. სააგენტო აცხადებს, რომ დამატებით უზრუნველყოფს ქალაქ თბილისში, მამია გურიელის ქ. №5ა-ში მდებარე უძრავი ქონების (ს/კ: №01.14.15.001.300.03.03.007, №01.14.15.001.300.03.03.520) დამოუკიდებელ აუდიტორულ შეფასებას.";

ბ) „5.9^1. თუ ხელშეკრულების 5.8^1 პუნქტით გათვალისწინებული განახლებული შეფასების მიხედვით, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (ს/კ: №01.14.15.001.300.03.03.007, №01.14.15.001.300.03.03.520) ღირებულება განსხვავდება სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ 2019 წლის 12 თებერვლის N000705819 N000945119 ექსპერტიზის დასკვნებით განსაზღვრულ საბაზრო ღირებულებისგან, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მხრიდან შესაძლოა განხილულ იქნეს სხვაობის კომპენსაციის საკითხი, ფულადი სახით ან დამატებით უძრავი ქონების გადაცემის გზით.".

2. ამ განკარგულების პირველ პუნქტში აღნიშნული საკითხი შესათანხმებლად წარედგინოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს.

3. დაევალოს სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს, ქალაქ თბილისში, მამია გურიელის ქ. №5ა-ში მდებარე უძრავი ქონების (ს/კ: №01.14.15.001.300.03.03.007, №01.14.15.001.300.03.03.520) აუდიტორული შეფასების დაკვეთა უძრავი ქონების შემფასებელ ესმა ფიცხელაურისთვის (პ/ნ 01001036213) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ ამ განკარგულების მე-2 პუნქტის

საკითხის შეთანხმების შემდეგ.

4. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის პირველ მოადგილეს (ვიცე-მერი) ირაკლი ხმალაძეს.

5. ამ განკარგულების გასაჩივრება, დაინტერესებული მხარის მიერ, შესაძლებელია მისთვის განკარგულების გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი №6), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი

კახა კალაძე